ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატის უფროსის
მოადგილე

ქ-ნ ნ. შალამბერიძეს,
ქ-ნ თ. გვაზავას

რეზოლუციის შესაბამისად.

#10/17612
14.11.2016

აპარატის უფროსის მოადგილე
ე. კაპანაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს აპარატის უფროსი

ქ-ნ ე.კაპანაძეს

რეზოლუციის შესაბამისად

№10/17612
14.11.16

აპარატის უფროსი
ე.დუმბაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ქ-ნ ე. დუმბაძეს

შესაბამისი რეაგირებისათვის.

№10/17612
28.10.16 წ.

გ.ალიბეგაშვილი
28.10.16წ.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

გიგზავნით ,,2016 წლის 9 თვის მონაცემებით გაწეული მუშაობის შესახებ" ანგარიშს.

დანართი:11 ფურცელი.

პატივისცემით,

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო
მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე

გოჩა ბაბუნაშვილი

12

№10/17612 28.10.2016

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (ვაკის რაიონის
დელისის ოლქის მაჟორიტარი დეპუტატი) გოჩა ბაბუნაშვილის
2016 წლის 9 თვის გაწეული მუშაობის ანგარიში

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 განკარგულებით ცნობილ იქნა, ჩემი გოჩა ბაბუნაშვილის საკრებულოს წევრის (ვაკის რაიონის დელისის ოლქის მაჟორიტარი დეპუტატი) უფლებამოსულება. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით შექმნილ იქნა ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისია, 21 ივლისის №3-11 დადგენილებით დამტკიცდა კომისიის დებულება, 21 ივლისის №4 განკარგულებით დამტკიცდა პერსონალური შემადგენლობა (გოჩა ბაბუნაშვილი, გიორგი ტყემალაძე, ნუგზარ მალაღურაძე, დავით ჭელიძე, თევდორე კობახიძე, დავით ზურაბშვილი, დავით უთმელიძე, ილია ჯიშკარიანი, ალექსანდრე ელისაშვილი, თეიმურაზ გრიგალაშვილი, მამუკა ახვლედიანი, შალვა ოგბაიძე), №15 განკარგულებით არჩეული ვიქენი კომისიის თავმჯდომარედ.

განვლილ პერიოდში სადეპუტატო უფლებამოსილებას ვახორციელებდი საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის", „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ", „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების შესახებ" საქართველოს კანონის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით დამტკიცებული საკრებულოს რეგლამენტის, კომისიის დებულების, „ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების", სხვა კანონებისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

საანგარიშო პერიოდში კომისიას ჩატარებული აქვს 22 სხდომა, განხილული გვაქვს დღის წესრიგით გათვალისწინებული 151 საკითხი, ცალკე უნდა აღინიშნოს, დამატებით განხილული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში-რუკაში მიწის ნაკვეთის ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების 217 წინადადება და განაშენიანების რეგულირების გეგმის 113 პროექტი. არჩეული ვარ საკრებულოს სარევიზიო კომისიის წევრად და საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მაქვს მიღებული 9 სხდომაში, განხილული გვაქვს 48 საკითხი. გაერთიანებული ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთვის" და ვმონაწილეობ მის მუშაობაში. ვარ ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საბჭოს" წევრი. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების კომისიის წევრი, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ შპს შეკუმშულ ბუნებრივ აირზე მომუშავე დაბალიატაკიანი საქალაქო ავტობუსების შეძენასთან დაკავშირებულ განაცხადთა შერჩევისა და გამარჯვებულის გამოვლენის კომისიის წევრი.

საკრებულოში ინიცირებულ ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის პროექტებზე მომზადებული გვაქვს დასკვნები. მთ შორის აღსანიშნავია "ბინათმესაკუთრეთა

ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის" განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-110 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომლის მიღება მიზნად ისახავდა „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის", ეფექტიანობის გაზრდას, ბინათმესაკუთრეებისათვის აქტუალური პრობლემების მოგვარებას, პროგრამისათვის გათვალისწინებული ფინანსური რესურსების მიზნობრივად ხარჯვას და პროგრამის პროცესის გამარტივებას.

დაიხვეწა და სრულყოფილი გახდა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების, ნარეჩენების მართვის ოპერატორის შერჩევის წესი და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესი. დარეგულირდა მოსაკრებლის შემოღების და გადახდის ინსტრუქცია.

მომზადდა დასკვნები „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარეჩენების მართვის ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის პროექტზე.

ქ. თბილისის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის განაკვეთი ერთ სულ მოსახლეზე განისაზღვრა 2.5 ლარით თვეში, ხოლო იმ ფიზიკური პირებისათვის, რომელთა ოჯახის სარეიტინგო ქულა 57 000 ან 57 000-ზე დაბალია მოსაკრებლის განაკვეთი ერთ სულ მოსახლეზე განისაზღვრა 2 ლარით თვეში.

საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოსახლეობის სულადობა დგინდება სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზის ინფორმაციით. როგორც მიმდინარე პრაქტიკა გვიჩვენებს, მთელ რიგ მისამართებზე (აბონენტებზე) სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა ბაზის შესაბამისად რეგისტრირებული არ არის არცერთი ფიზიკური პირი. უმეტეს შემთხვევაში ეს არის საცხოვრებელი ბინები/სახლები, სადაც რეალურად ცხოვრობენ მოქალაქეები რეგისტრაციის გარეშე, შესაბამისად არიან ნარჩენების წარმომქმნელები. ბევრ მოქალაქეს საკუთრებაში აქვს ორი ან მეტი ბინა/სახლი, რომელიც აქვს გაქირავებული (ან დაგირავებული, ან დროებით აცხოვრებს სხვა პირებს), ხოლო იმის გამო, რომ ამ კონკრეტულ მისამართებზე არავინ არ არის რეგისტრირებული, დასუფთავების მოსაკრებელი არ ერიცხებათ. იმ შემთხვევაში თუ ბინები/სახლები დაკეტილია და არავინ ცხოვრობს შესაბამისად არ მოხდება დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვა.თუ დადასტურდება, რომ ბინა/სახლი გამოიყენება საცხოვრებლად (მიმდინარე პერიოდში ცხოვრობენ), შესაბამისად ცხოვრობს მინიმუმ ერთი ადამიანი მაინც, სადაც წარმოიქმნება ნარჩენები, რომლის გატანასაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტი. ასეთ საცხოვრებელ ბინებს/სახლებს რომელთაც არ ერიცხება დასუფთავების მოსაკრებელი მოსახლეობის სულადობის მიხედვით და დასტურდება მოსახლეობის ცხოვრების ფაქტი, დაერიცხება დასუფთავების მოსაკრებელი როგორც ერთი სულს - 2,5 ლარის ოდენობით.

ამასთან, მოწესრიგდა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-

დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილების დანართით 1-ით დამტკიცებულ დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის მე-6 მუხლი, რომლითაც არსებული დავალიანების მქონე გადამხდელებს (აბონენტებს) უფლება ეძლევათ გადაიხადონ არსებული დავალიანება (მიმდინარე გადასახდელთან ერთად) განწილვადების გზით. ამასთან ფიზიკურ პირებს (გარდა ინდივიდუალური მეწარმისა), რომელთაც გააჩნიათ დარიცხული დასუფთავების მოსაკრებელის დავალიანება, მიეცათ უფლება აღნიშნული (მოსაკრებლის მიმდინარე ყოველთვიურ დარიცხვასთან ერთად) დავალიანება დაფარონ ეტაპობრივად არაუმეტეს 12 თვის ვადაში, მოსაკრებლის გადახდევინებისათვის პასუხისმგებელ სამსახურთან ან საამისოდ უფლებამოსილ იურიდიულ პირთან გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე.

კომისიის სხდომებზე, ქალაქის მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით განხილული იქნა „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M^3 და M^2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების სრულყოფის საკითხები. (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის ფორმით). ცვლილებების განხორციელებამ ხელი შეუწყო მგზავრთა გადაყვანის დროის შემცირებას და გააუმჯობესა მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურეობის ხარისხი. ცვლილება ძირითადად განპირობებული იყო MAN -ის ახალი ავტობუსების ხაზებზე ჩართვით. 10 ავტობუსი ბაგებიდან ორბელიანის მოედნის მიმართულებით მოძრავ N61 ავტობუსის ხაზზე დაინიშნა, თბილისის ავტოპარკი, ეტაპობრივად 143 ერთეული ახალი ავტობუსით თებერვლის ბოლომდე განახლდება. გამოთავისუფლებული ავტობუსებით ძირითადად შეივსება ხაზზე დღეისათვის მოძრავი შემადგენლობები, რაც ქალაქში მუნიციპალური ტრანსპორტის გადაადგილებებს შორის ინტერვალს შეამცირებს და მგზავრობას უფრო კომფორტულს გახდის.

ევროსტანდარტების შესაბამისი მუნიციპალური ტრანსპორტი CNG საწვავზე (ბუნებრივი აირი) მომუშავე ძრავითაა აღჭურვილი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სრულადაა ადაპტირებული. ლურჯი ფერის ახალი ავტობუსები, რომელთა სიგრძე 12 მეტრია, ქალაქის მასშტაბით არსებულ გრძელ დისტანციებსა და ფართო გამტარუნარიანობის ქუჩებზე ივლის. აღნიშნული ტრანსპორტით 85 მგზავრის გადაყვანაა შესაძლებელი. მეორე ეტაპზე კი ახალი ავტობუსები N 51 ხაზს დაემატება.

პროექტი მთლიანად ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.გამარჯვებული სატრანსპორტო კომპანიის შერჩევა ტენდერის მეშვეობით სწორედ EBRD-ის საერთაშორისო წესების შესაბამისად განხორციელდა.

თბილისის მერიას ავტობუსების პარკის განახლების 4-წლიანი გეგმა აქვს, რომელიც ეტაპობრივად განხორციელდება და პარკის ეკოლოგიურად სუფთა, შეზღუდული შესაძლებებოს მქონე პირებისთვის ადაპტირებული ავტობუსებით სრულად განახლებას ითვალისწინებს.

ამ დღეებში ექსპლოატაციაში იქნა გაშვებული კუს ტბის განახლებული საბაგირო გზა.

გზის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, სრულად განახლდა მოძველებული ინფრასტრუქტურა, გარემონტდა და უსაფრთხოების თანამედროვე სისტემებით აღიჭურვა ორივე სადგური. ასევე, მთლიანად შეიცვალა გამწევი ბაგირი, დამონტაჟდა თანამედროვე მართვის პულტი, კაპიტალურად გარემონტდა გონდოლები. საბაგირო, რომელიც 1965 წელს გაიხსნა, ისტორიული ღირებულება აქვს და ის ჩვენი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის ნაწილია.

კუს ტბის ახალ საბაგირო გზაზე თბილისელებს და დედაქალაქის სტუმრებს ორი გონდოლა მოემსახურება და ჭავჭავაძის გამზირიდან კუს ტბაზე მოხვედრა 6 წუთში იქნება შესაძლებელი. თითო გონდოლით 10-12 ადამიანი, მათ შორის ერთი მუდმივი გამცილებელი იმგზავრებს. გონდოლები და სადგურები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვისაა ადაპტირებული, ხოლო მოსახლეობის მოთხოვნის გათვალისწინებით, გონდოლებზე ველოსიპედის მოყვარულებისთვის სპეციალური ველოსაკიდებია დამონტაჟებული.

მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა დედაქალაქის ახალი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესამუშავებლად, რაც უზრუნველყოფს დედაქალაქის მდგრადი განვითარებისა და მოსახლეობის ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი პირობების ჩამოყალიბებას, გრძელვადიანი ქალაქმშენებლობითი სტრატეგიის განსაზღვრას და ტერიტორიების სამშენებლო განვითარების, მართვის ქმედითი ინსტრუმენტის შექმნას. ამ პროექტის განსახორციელებლად 2015 წლის ბიუჯეტში ჩადებული იყო 1 მილიონი, 2016 წლის ბიუჯეტში 2 მილიონ 300 ათასი ლარი. გამოცხადებული იქნა კონკურსი და დღესათვის გამარჯვებული მსხვილი საერთაშორისო კომპანია მუშაობს დედაქალაქის ახალი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტზე და უმოკლეს ვადაში თბილისის ისტორიაში პირველად ქალაქს ექნება სივრცით-ტერიტორიული განვითარების მართვის სრულყოფილი დოკმენტი, რითაც მოგვეცემა სამშენებლო პროცესების მართვისა და მისი განხორციელების კონტროლის შესაძლებლობა.

განხორციელდა „ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეგულაციების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ახალი წესები, დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით, ითვალისწინებს განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავებისთვის მინიმალური ტერიტორიის განსაზღვრას და იგი შეადგენს 5000 კვ.მ–ს. თბილისის ქალაქგანვითარების მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავება ხდება ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც სამშენებლო მიწის ნაკვეთებისათვის სხვაგვარად შეუძლებელია გამოყენებისა და განაშენიანების რეგლამენტების დადგენა. არსებული ნორმის არასაკმარისი ეფექტურობის გამო, განხორციელდა ცალკეული ტერიტორიების ინდივიდუალური განვითარება, რამაც საბოლოო ჯამში შექმნა სრულიად მოუწესრიგებელი, ინფრასტრუქტურით გაუმართავი, არაჯანსაღი საცხოვრებელი სივრცე. აქედან გამომდინარე, იმ მინიმალური ფართობის განსაზღვრა, რომელზეც სავალდებულო იქნება განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავება, წარმოადგენს ეფექტურ ბერკეტს სამშენებლო ტერიტორიების გეგმაზომიერი, მოწესრიგებული განვითარებისთვის.

მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტის (კ-1) და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ–2) საანგარიშო ფართობის გამოანგარიშების წესმა განიცდა გარკვეული ცვლილებები. კერძოდ, მოქმედი ნორმა მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტის (კ-1) ანგარიშის დროს ერთმანეთისგან არ მიჯნავდა შენობას და ნაგებობას, მათთვის კოეფიციენტის ანგარიშის ერთ წესს ადგენდა. ნაგებობებისთვის (მათ სართულები არ გააჩნიათ)მართებული არ არის იგივე წესის განსაზღვრა. აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე პროექტით, მიწის ნაკვეთზე შესაძლებელია არსებობდეს ნაგებობა, მაგრამ იგი არ იანგარიშებოდეს კ-1 კოეფიციენტში. ამდენად, დადგენილების პროექტი განსაზღვრავს კ–1 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობის დასათვლელად განსხვავებულ წესს როგორც შენობისთვის, ისე ცალკე ნაგებობისთვის. მოქმედი რედაქციის თანახმად, არასრული სართულის იატაკის კონსტრუქციის ზედაპირის ფართობი – კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში არ შედის, ხოლო ახალი პროექტით იგი შევიდა 1/2-ით. ამასთან, სხვენში, რომელშიც მოწყობილია მანსარდა, რომელიც წარმოადგენს სრულ სართულს, მაშინ ასეთი მანსარდა – კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში შედის, ასეთი სხვენის იატაკის ძირითადი კონსტრუქციის ზედაპირის ფართობის 1/2-ით, ხოლო, სხვენში, რომელშიც მოწყობილია ისეთი მანსარდა, რომელიც წარმოადგენს არასრულ სართულს, მაშინ ასეთი მანსარდა – კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში არ შედის, განხორციელებული ცვლილებით სხვენი, მიუხედავად იმისა მასში მოწყობილია სრული თუ არასრული სართული, კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში შედის იატაკის ზედაპირის ფართობის 3/4-ით. ასევე, მოქმედი რედაქციის მიწისზედა ავტოსადგომი მიუხედავად მისი სიმაღლისა კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში არ შედის, წარმოდგენილი პროექტით კი, იმ მიწისზედა ავტოსადგომის ფართობი, რომლის სართულის სიმაღლე იატაკის ზედაპირიდან მომდევნო სართულის იატაკის ზედაპირამდე აღემატება 3 მეტრს, გარდა ცალკე მდგომი ავტოსადგომისა, კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში შედის სრულად.

მოქმედი წესების თანახმად, სპეციალური (ზონალურ) შეთანხმება თავისი არსით წარმოადგენს ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საგამონაკლისო წესს, თუმცა იგი არ ადგენს ტერიტორიების გამოყენების საგამონაკლისო სახეობებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის პირობებს და ასევე არ განმარტავს სპეციალური (ზონალურ) შეთანხმების გაცემისთვის საჭირო ქალაქგეგმარებითი პროექტის არსს. ახალი წესებით დგინდება სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის კონკრეტული მოთხოვნები სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მისაღებად, რაც ეფუძნება საგამონაკლისო წესის არსს. აუცილებელი ხდება სამშენებლოდ განსავითარებელი ტერიტორიის კვლევა და საგამონაკლისო წესით სამშენებლო განვითარების მიზნის დასაბუთება.

განხორციელებული ცვლილებები ითვალისწინებს მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებზე მიშენება–დაშენებების აკრძალვას, გარდა საგამონაკლისო შემთხვევებისა. კერძოდ, იმ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებზე, რომელთა იერსახე დარღვეულია და ხდება მათი იერსახის მოწესრიგება, დასაშვებია მიშენება, დაშენება, ან/და მანსარდის მოწყობა მხოლოდ ერთიანი პროექტისა და შესაბამისი საექპერტო დასკვნის არსებობის პირობებში.

მოქმედი რედაქციის თანახმად, მიჯნის ზონაში ღიობების მოწყობა მომიჯნავე მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობით შესაძლებელია, რაც ეწინააღმდეგება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს და არ უნდა წარმოადგენდეს კერძო პირების შეთანხმების საგანს. დადგენილების პროექტი ითვალისწინებს აღნიშნული ნორმის გაუქმებას.

განაშენიანების რეგულირების მოქმედი წესები ერთ საცხოვრებელ ერთეულზე მინიმუმ ერთი ავტოსადგომის მოწყობის ვალდებულებას ითვალისწინებს, თუმცა მხოლოდ საცხოვრებელ ზონებში და სხვა ფუნქციურ ზონებში სხვა ფუნქციის შენობა–ნაგებობების მიმართ რეგლამენტს არ ადგენს. წინამდებარე პროექტით ხდება ავტოსადგომების მინიმალური რაოდენობის განსაზღვრა საცხოვრებელი ფუნქციის შენობა–ნაგებობის და სასაფლაოების ახალი მშენებლობის შემთხვევებში. მინიმალური რაოდენობა დიფერენცირებულია ტერიტორიულ–სტრუქტურული ზონების (ცენტრალური ზონა, გეგმარებითი კარკასი, შუალედური ზონა, პერიფერიული ზონა) შესაბამისად. ასევე, გათვალისწინებულია ავტოსადგომების, პანდუსებისა და ავტოსადგომებთან მისასვლელების გაბარიტული ზომები და ის ტექნიკური მოთხოვნები, რომლებიც უზრუნველყოფს ავტოსადგომების გამართულად ფუნქციონირებას.

ამომრჩეველთა თხოვნით და ჩვენი მხარდაჭერით საანგარიშო პერიოდში ვაკის რაიონში დაფინანსდა: შემდეგი სახის ღონისძიებები: მდ. ვერეს ხეობაში, მზიურის მიმდებარედ დეკორატიული კედლის მშენებლობა; წყნეთში, გრიშაშვილის ქუჩაზე, სანიაღვრე კოლექტორის აღდგენა; ზემო ვეძისის 43ბ-ს მიმდებარედ სანიაღვრე ქსელის მოწყობა; წყნეთი-ახალდაბის გზის მე-3 კმ-ზე დამეწყრილ ტერიტორიაზე ხეების მოჭრის სამუშაოები; ვერეს ხეობაში ცხაურის ტიპის ნატანდამჭერი ჰიდროტექნიკური ნაგებობების პროექტირება; წყნეთში, მასწავლებელთა გადამზადების ცენტრის მიმდებარედ საყრდენი კედლის მოწყობა; კოჯორი-სამადლოს დამაკავშირებელი გზის 6,34 კმ. სიგრძის მონაკვეთის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები (I ეტაპი); მდ. ვერეს ხეობაში სტიქიის შედეგად დაზიანებული არსებული გოფრირებული ფოლადის კონსტრუქციის #5 და #6 გვირაბის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები და დამაკავშირებელი საყრდენი კედლის მშენებლობის სამუშაოები; მდ. ვერეს ხეობაში სტიქიის შედეგად დაზიანებული არსებული გოფრირებული ფოლადის კონსტრუქციის #7 და #3 გვირაბის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები; ახალდაბის გზის გაწმენდის საპროექტო სამუშაოები.

რაიონში ასევე დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები: ხეების გასხლა-გადაბელვა და მოჭრა (752 ძირი); მყარი ურბანული ნარჩენების გატანა; მცირეფასიანი საპარკე სკამების შეძენა-მონტაჟი (100 სკამი); გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა; საყრდენი კედლის მოწყობა (9 მისამართი); სათამაშო მოედნების მოწყობის (28 მისამართი) და აღდგენა-რეაბილიტაცია; საცხოვრებელი ფართის გაზიფიკაციის პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის ექსპერტიზის მომსახურება, სამი ოჯახის გაზიფიკაციისათვის (ინდივიდუალური გამრიცხველიანება) და გაზგამანაწილებელი ქსელის მოწყობა; ასევე დაფინანსებულია კიბეების (18 მისამართი), საფეხმავლო ბილიკების, პანდუსების, სკვერების (16 მისამართი), სპორტული მოედნებისა და წყალსადენ-კანალიზაციის, ასევე სანიაღვრე ქსელების შეკეთების, მოწყობისა და აღდგენა-რეკონსტრუქციისათვის საჭირო საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების ხარჯები. დახმარება გაეწია რაიონოის ტერიტორიაზე მდებარე 17 ეკლესიას.

მთლიანობაში რაიონში შეკეთდა 72.11 კვ.მ ფართის ქუჩები: მარუხის ქუჩა, აბაშიძის ქუჩა, ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილი, ნუცუბიძის მე-3 მ/რ მაჭავარიანის ქუჩის ასასვლელთან, ქავთარაძის და ვაჟა ფშაველას ქუჩების დამაკავშირებელი გზა (მე-7 კვარტალი 22 კორპუსის მიმდებარედ), ნუცუბიძის მე-2 და მე-4 მ/რ ამსვლელი, ქავთარაძის ქუჩა, ატენის ქუჩა, უნივერსიტეტის ქუჩა, ჭავჭავაძის ქუჩა, მოსეშვილის ქუჩა, ბერძენიშვილისა და ფალიაშვილის ქუჩების კვეთა, ვაშა ფშაველას მე-2 კვარტალი, შატბერაშვილის ქუჩა, რაზმაძის ქუჩა, რამიშვილის ქუჩა, მინდელის ქუჩა, არაყიშვილის ქუჩა, მრგვალი ბაღის

მიმდებარედ, წყნეთი, კაბელების დასახლება, ვაჟა ფშაველას გამზირი (ძეგლის მიმდებარედ), ნუცუბიძის პლატო მე-3 მ/რ, ჭავჭავაძის გამზირი. შეკეთდა 37, 965 კვ.მ გზის საფარი შემდეგ მისამართებზე: ნუცუბიძის პლატო 4მ/რ, #10 კორპუსის ეზო და ეზოსთან მისასვლელი გზა; ვ.ფშაველას 1 კვ. 21 კორპ. ეზო. ვ.ფშაველას 1 კვ, #21,24,25,26 კორპუსებს შორის გზა; ნუცუბიძის 3 მ./რ, მე-3 კვ. კორპ. 6,7,8; ნუცუბიძის 4 მ/რ კორპ.#36; ნუცუბიძის 4 მ/რ, კორპ. #14-15; ქუთათელაძის #17 ეზო, შავიშვილის ქუჩიდან ბარნაბიშვილის ქუჩამდე; ნუცუბიძის 2 მ/რ 3კვ. კორპ. #9; აბაშიძის #35 ეზო; კეკელიძის #19; ნაფარეულის #4; თაყაიშვილის ქ. #5; წყნეთის გზატკეცილი #24-36; სვანიძის ქუჩიდან თამარაშვილის ქუჩამდე; ჭავჭავაძის #75ᵃ და 75ᵇ; პოლიტკოვსკაიას #18; შატბერაშვილის ჩიხი #2; ვ.ფშაველას 2კვ. კორპ. #29,30,32,33,34,71; ასევე, დაფინასებულია გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები (ორმოული) და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები. დასრულდა ქალაქში 25-30 წლის განმავლობაში გაურემონტებული დიღმურასა და ბარათაშვილის ხიდების გამაგრებითი სამუშაოები, აღმაშენებლის ხეივნიდან მუხათგვერდისკენ მიმავალი უმოქმედო გზაგამტარის რეკონსტრუქცია. დასრულდა მეტეხის საგვირაბო კომპლექსის გაგრძელებაზე მდინარე მტკვარზე არსებული ხიდი ესტაკადის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ოპერატიულად იქნა აღდგენილი ელბაქიძის აღმართზე ჩამოშლილი კედელი. რაც შეეხება ვერეს ხეობას, რეაბილიტირებული და სრულად აღდგენილია ხეობაში ორმხრივი მოძრაობის სატრანსპორტო გზა. დასრულდა წყნეთი-თბილისის საავტომობილო გზის მშენებლობა.

თბილისის მერიის პროექტის „ახალი ტფილისი"-ს ფარგლებში, გაიხსნა დავით აღმაშენებლის რეაბილიტირებული გამზირი, მარჯანიშვილის მოედნიდან - ზაარბრიუკენის მოედნამდე, რომლის სრული რეაბილიტაცია განხორციელდა.

თბილისის მერიის და დედაქალაქის განვითარების ფონდის პროექტის „ახალი ტფილისი" I ეტაპის სამუშაოები 2016 წლის თებერვალში დაიწყო და რეაბილიტაცია სხვადასხვა მიმართულებით ჩატარდა. პირვანდელი სახით 47 ისტორიული შენობა აღდგა, რომელთა შორის 38 - კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია. მთლიანად შეიცვალა და აღდგა შენობების სახურავები, კონსტრუქციულად გამაგრდა შენობა-ნაგებობები, ავთენტური იერსახით აღდგა შენობების ფასადები და მათზე არსებული ისტორიული ორნამენტები. სრული რესტავრაცია ჩაუტარდა ძველებურ აივნებს, კარებებსა და ჭიშკრებს. მაღალი ხარისხის მასალით შეიცვალა შენობების ვიტრაჟები და კარ-ფანჯარა. რესტავრაცია ჩაუტარდა ისტორიულ სადარბაზოებს, აღდგა რეაბილიტაციის პროცესში სადარბაზოებსა და ფასადებზე აღმოჩენილი მხატვრობები და ისტორიული წარწერები, განხორციელდა ეზოების კეთილმოწყობა. გამზირზე მთლიანად შეიცვალა საკომუნიკაციო სისტემა - გაზის, წყლის, საკანალიზაციო მილები, ინტერნეტ და სუსტი ელექტროქსელები. მოეწყო სადრენაჟე და სანიაღვრე სისტემა, რომლის არარსებობის გამოც შენობების კონსტრუქციულ მდგრადობას საფრთხე ექმნებოდა. დავით აღმაშენებლის გამზირის ნაწილი გახდა საფეხმავლო. გამზირზე ჩატარდა კეთილმოწყობის სამუშაოები, დამონტაჟდა გარე განათების სისტემა, დაიგო სხვადასხვა სახეობის ქვაფენილი და მოეწყო გზის საფარი. საფეხმავლო ნაწილში დაიდგა სკამები და სასმელი წყლის ფანტანები. ამასთანავე, დამონტაჟდა 6 ლითონის ქანდაკება. გამწვანდა ტერიტორია, კერძოდ, N59 შენობის კედელზე მოეწყო ვერტიკალური ბაღი, დაირგო ხეები, კეთილმოეწყო 2 სკვერი, ფასადები გაფორმდა დეკორატიული ყვავილებით. პროექტის „ახალი ტფილისი" I ეტაპის ძირითადი სარეაბილიტაციო სამუშაოები დავით აღმაშენებლის გამზირზე განხორციელებულია, ხოლო შიდა სამუშაოები, როგორც პროექტით იყო გათვალისწინებული, 2016 წლის ბოლომდე დასრულდება.

პუშკინის ქუჩაზე გაიხსნა ესტაკადა, აღდგა ორმხრივი მოძრაობა, გაკეთდა სავალი ბილიკი.ესტაკადა ლითონის კონსტრუქციითაა აგებული და ახალი ხიდის სიმაღლის დონე თითქმისარსებული გზის შესაბამისია.ახალი ესტაკადა ძველი ქალაქის სტილშია,ხიდი ს მშენებლობით ძველი თბილისის იერსახე არ დაიკარგა და აღნიშნულ ქუჩაზე,აღმოჩენილი ქალაქის ნანგრევები შენარჩუნდა", ესტაკადა საცობებისგან განტვირთავს ქალაქის მნიშვნელ ოვან ნაწილს,თავისუფლების მოედანს, მაჩაბელის, აფხაზის, ჭანტურიას, ფურცელაძის, თაბუ კაშვილის,ლაღიძის, ლეონიძის, ბესიკის, ათონელის, ვირსალაძის, ვაჩნაძის, უკრაინკას, პუშკ ინისა დასხვა ახლომდებარე ქუჩებს, ასევე, გამსახურდიას სახელობის მარჯვენა სანაპიროს. სამშენებლო სამუშაოები პუშკინის ქუჩაზე თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის დაკვეთით, კომპანიამ "CRP" განახორციელა. პროექტზე დედაქალაქის ბიუჯეტიდან 4,400,000 ლარი დაიხარჯა.

დასრულდა ავლაბრისა და მახათას დამაკავშირებელი გზის მშენებლობა, კრწანისი-შინდისის დამაკავშირებელი გზის ძირითადი სამუშაოები. ახალი მაგისტრალი სოლოლაკის ქუჩებს საცობებისგან მნიშვნელოვნად განტვირთავს, თბილისს შემოერთებულ ტერიტორიებთან დააკავშირებს და კრწანისიდან შინდისში ასვლას 5 წუთში გახდის შესაძლებელს. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ასევე განხორციელდა ბუნებრივი აირის მილების გადატანა, ჩატარდა გზის კონტურის ფორმირების სამუშაოები და მოეწყო კიუეტებისა და გარე განათების ახალი ქსელი. გზის სამუშაოებზე, რომელიც შპს „ჯეუ გრუპ"-მა შეასრულა, თბილისის მერიის ბიუჯეტიდან 4 993 986,60 ლარი დაიხარჯა.

კოჯორი-სამადლოს დამაკავშირებელი გზის 6,4 კმ-იანი გზის მონაკვეთი რეაბილიტაციას 2015 წლის ივნისში მომხდარი სტიქიური მოვლენების შემდეგ საჭიროებდა, კერძოდ წყნეთი-ბეთანიის გზის მწყობრიდან გამოსვლის შემდეგ, როდესაც მნიშვნელოვნად გაიზარდა თბილისი-კოჯორის მიმართულებით მიმავალი ავტომანქანების ნაკადი და დაზიანდა წყალამრიდი და წყალგამტარი ნაგებობები.

სარეაბილიტაციო სამუშაოები ორ ეტაპად განხორციელდა. პირველ ეტაპზე საინჟინრო ნაგებობები მოეწყო, მეორე ეტაპზე გამტარუნარიანობის გაზრდის მიზნით კი გზის ცალკეული მონაკვეთები გაგანიერდა და დაიგო ასფალტის ახალი საფარი.

სარეაბილიტაციო სამუშაოები მერიის კეთილმოწყობის სამსახურის კონტრაქტორმა კომპანიამ შპს „ ჯი არ ჯი"-მ განახორციელა.

კომისიას საქმიანი ურთიერთობები აკავშირებს კომპანია (GVP) „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერ"-თან. მოსმენილ იქნა ინფორმაციები დედაქალაქის მოსახლეობის სასმელი წყლით უწყვეტი მომარაგების საკითხებზე. შემუშავებული იქნა წყლის მიწოდება-გატარების პროცესში არსებული შეფერხებების აღმოფხვრის ღონისძიებების პროგრამა. საკრებულოდან კომპანიისათვის მიწოდებული იქნა უახლოესი პერიოდისათვის:

ქ. თბილისის ცალკეული ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების გეგმის და განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტები.

გასულ დღეებში, საკრებულოს სხვა წევრებთან ერთად ვმონაწილეობდი საგურამოში ახალი ჰიდროელექტროსადგურის "საგურამოჰესი" -ს გახსნაში. შეხვედრის მონაწილეებს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერ"-ის დირექტორმა გიორგი ცხადაძემ ახალი ჰესის შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოუდგინა, რომელიც ულტრათანამედროვე სტანდარტებს პასუხობს და ავსტრიული დანადგარებითაა აღჭურვილი. ჰესის დადგმული სიმძლავრე 5 მგვტ, ხოლო წლიური გამომუშავება-32 მლნ.კვტ/სია, რაც თბილისის სტაბილური წყალმომარაგების გარანტიაა.

ახალი ჰიდროელექტროსადგურის გახსნას საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი

კვირიკაშვილი ესწრებოდა, რომელმაც ქვეყნისათვის ჰესის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

თბილისის ანძაზე დამონტაჟდა ახალი ე.წ „ლედ ტიპის" სანათები. გაგრძელდება შემოვლითი რკინიგზის მშენებლობა. ახლა მთავარია და მნიშვნელოვნად მიმაჩნია, უმოკლეს ვადებში დასრულდეს დაწყებული ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც ქალაქში საცობებს შეამცირებს და მოქალაქეებისათვის თავისუფალი გადაადგილების გარანტი იქნება.

ძირითადად მოგვარდა 2015 წლის 13-14 ივნისს მოსული ძლიერი წვიმის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების პრობლემები. მთლიანობაში სტიქიამ 194 ოჯახი დააზარალა, 20 გარდაიცვალა, 2 პირი კი დღემდე დაკარგულად ითვლება, დაზარალდა 800-ზე მეტი ფიზიკური პირი. მსოფლიო ბანკის შეფასებით, ზარალი 100 მილიონ ლარზე მეტს შეადგენდა. სტიქიის დღეებში დაზარალებული მოსახლეობის დახმარებამ თავისი გამოხატულება ჰპოვა კომისიის მხრიდან დაზარალებული მოქალაქეების დასახმარებლად ფიზიკური შრომის სახით, რაც გამოიხატა საცხოვრებელი ბინების, საყოფაცხოვრებო ავეჯის, ეზო-კარმიდამოს წყლისგან მოტანილი შლამისგან გაწმენდის და სხვა სახის სამუშაოებში.

საფინასო სამსახურის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა და დაფინანსდა შემდეგი სახის ღონისძიებები: სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოთხ ოჯახთან გაფორმებულია ხელშეკრულება მათ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დათმობის შესახებ და საცხოვრისით უზრუნველყოფის მიზნით ფულადი თანხის გადაცემის შესახებ. აქედან, ქონების მართვის სააგენტოს წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, სტიქიით დაზარალებულ ორ ოჯახს უძრავი ქონების დათმობის სანაცვლოდ პირად ანგარიშზე ჩაერიცხა - 515,8 ათასი ლარი, ხოლო ორ ოჯახს, საცხოვრისით უზრუნველყოფის მიზნით, სს ქართუ ბანკის (Escrow) ანგარიშზე ჩაერიცხა - 487,7 ათასი ლარი, რომელიც ნასყიდობის ხელშეკრულების წარდგენის საფუძველზე გადაერიცხება გამყიდველის ანგარიშზე, ხოლო შესყიდული საცხოვრებლის ღირებულებასა და ანგარიშზე (Escrow) განთავსებულ თანხას შორის სხვაობა გადაერიცხება დაზარალებულს პირად ანგარიშზე.

გარდა ამისა, 2016 წელს გაწეულია სტიქიის შედეგად დაზიანებული ავტომობილების მესაკუთრეებისათვის (117 ავტომანქანა) მიყენებული ზიანის ანაზღაურების ხარჯები 880,2 ათასი ლარი.

ჩვენი წინასაარჩევნო დაპირების შესაბამისად:

საბავშვო ბაღების მშენებლობა სწარფი ტემპითმიმდინარეობს, რაც პატარებს სკოლამდელი განათლების თანამედროვე სტანდარტებისმქონე დაწესებულებებში მიღების ყველანაირ პირობას შეუქმნის:

ნაძალადევის რაიონში, ურეკის ქუჩაზესაბავშვო ბაგაბაღის მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი.სკოლამდელი აღზრდის ახალი დაწესებულება თემქაზე მდებარე ყოფილი №113 ბაღის ტერიტორიაზე შენდება. ორსართულიან შენობაში, რომელიც 1483 კვ.მ-ზე განთავსდება, 10ჯგუფი (2 ბაგა) იმოქმედებს და აქ სკოლამდელი განათლების მიღებას 400მდე ბავშვი შეძლებს.ახალ საბავშვო ბაღში, რომელიც განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისთვის იქნება ადაპტირებული, 65-მდე ადამიანი დასაქმდება.

ბაგა-ბაღში, რომლის მშენებლობა ჩუღურეთის რაიონის მოსახლეობის თხოვნის გათვალისწინებით გადაწყდა, შვიდი ჯგუფი გაიხსნება და სააღმზრდელო პროცესში

ჩართვას 250-მდე ბავშვი შეძლებს. ჩუღურეთში მდებარე ახალი საბავშვო ბაგა-ბაღი თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით აღიჭურვება, მოეწყობა ეზო და ამასთანავე, დამონტაჟდება ატრაქციონები. ბაგა- ბაღი ექსპლუატაციაში 2017 წელს შევა და იგი ერთ-ერთია იმ 10 ბაგა-ბაღიდან, რომელთა მშენებლობაც 2016 წელს დაიგეგმა.

ისნისრაიონში,ონაშვილისქუჩის N1-ში ახალაშენებულიN-37 საბავშვო ბაგაბაღი გაიხსნა რომელიც, ერთ-ერთია იმ შვიდთაგან, რომელთა მშენებლობა გასულ წელს, წინა წლებში დასრულებულიბაღებისადგილზედაიწო.რომელიც 2300 კვ.მზე განთავსებულ ორსართულიან შენობაში გაიხსნა, 12 ჯგუფი იმოქმედებს და სკოლამდელ განათლებას 450 -ზე მეტი ბავშვი მიიღებს.ამასთან, შენობა განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისთვისაა ადაპტირებული.

კრწანისის N21-ში ახალი საბავშვო ბაგა-ბაღი გაიხსნა. N20 საბავშვო ბაღი,რომელიც 2002 წელს თბილისში მომხდარი მიწისძვრის შედეგად მძიმედდაზიანდა, ამ დრომდე ნაქირავებ შენობაში ფუნქციონირებდა. ახალ ბაღში 6 ჯგუფი გაიხსნა, სადაც 200-ზე მეტი ბავშვი სკოლამდელ განათლებასმიიღებს.შენობა განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისთვის არის ადაპტირებული და აქ 40-მდე ადამიანია დასაქმებული.

სამგორის რაიონის სოფელ წინუბანში საბავშვო ბაგა-ბაღის აღგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოები დასრულდა. ბაღი 1999 წელს დაიხურა და ადგილობრივ მცხოვრებლებს ბავშვების ბაღში ტარება რამდენიმე კილომეტრის მოშორებით უწევდათ.
მოსახლეობის თხოვნის გათვალისწინებით, ავარიული შენობის აღდგენა-რეკონსტრუქციის პროცესი ორი თვის წინ დაიწყო და გეგმის შესაბამისად, შემოდგომაზე დასრულდა.

ნაძალადევის რაიონში, ახალი საბავშვო ბაგა-ბაღი მიტინგის ქუჩა N1-ში 2011 წელს ავარიულობის გამოა დაიხურა, N-79 ბაღის შენობის ნაცვლად აშენდა და ის განსაკუთრებული საჭიროების მქონებავშვებისთვის სრულადაა ადაპტირებული. N-79 ბაგა-ბაღი, სადაც განათლების მიღებას 400-მდე სკოლამდელი ასაკის ბავშვი შეძლებს, რიგით მეშვიდეა, რომელიც თბილისს მიმდინარე წელს შეემატა.

უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, არის მნიშვნელოვანი ფინანსური დოკმენტი, საქალაქო მეურნეობის დარგების განვითარების, ავარიული შენობების გამაგრების, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების, ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების განხორციელებისათვის, იგი ხელს უწყობს ბიზნესის განვითარებას, ადამიანების დასაქმებას, ამის გათვალისწინებით განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობთ დედაქალაქის ბიუჯეტზე მუშაობას, მასზე დასკვნების მომზადებას.

განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი მოქალაქეთა და ორგანიზაცია-დაწესებულების განცხადება-წერილებზე მუშაობას.

კომისიაში და სამაჟორიტარო ბიუროს ოფისში შემოსულ წერილებს პირადად ვეცნობი, მოქალაქეებს ვაძლევ შესაბამის კონსულტაციებს და ვუწევ დახმარებას პრობლემების მოგვარების მიზნით, რომლებიც ძირითადად ეხება ავარიული შენობების გამაგრების, შიდაკვარტალური გზების, ეზოების, სკვერების, ბავშთა სპორტული მოედნების მოწყობის, ქალაქის სანიტარული დასუფთავების, მყარი მუნიციპალური ნარჩენების მართვის, საბინაო, სოციალური და ყოფითი პირობების გაუმჯობესების საკითხებს.

საანგარიშო პერიოდში კომისიაში სულ შემოსული და განხილული გვაქვს 596 წერილი/განცხადება: მათ შორის, საკრებულოს თავმჯდომარის რეზოლუციით 445, უშუალოდ კომისიის თავმჯდომარის სახელზე შემოსულია 414 წერილი/განცხადება, აქედან

მეორე შემსრულებლად კომისია წარმოდგენილი იყო 31 ერთეულ შემთხვევაში. მთლიანობაში შესრულებულია 592 წერილი/განცხადება, -99.3%.

მოქალაქეებს ტრადიციულად ყოველ ოთხშაბათს ხვდები. საარჩევნო ოლქში ჩატარებული მაქვს ამომრჩევლებთან 31 შეხვედრა, სამაჟორიტარო ბიუროს ოფისში ჩავატარე 33 მიღება და შევხვდი 500-მდე მოქალაქეს. ერთჯერადი მატერიალური დახმარების, მედიკამენტების შეძენის, ქირურგიული ოპერაციების დაფინანსების, საბინაო ფართის დაკანონების, სწავლების დაფინანსების, საჯარიმო სანქციების მოხსნის, სანიაღვრე არხების მოწყობის და საყრდენი კედლების მშენებლობის, დასაქმების და სხვა საკითხებზე. სოციალურად შეჭირვებულ ადამიანებს 12-ჯერ დაუფინანსდათ სხვადასხვა სახის ქირურგიული ოპერაციები, 4-ხი სამედიცინო გამოკვლევა და მედიკამენტოზური მკურნალობა, 11-ი ერთჯერადი ფინანსური დახმარება.

დაფინანსდა ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით ვაკის რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები 95 ვეტერანის სასაჩუქრე ამანათების შესყიდვა და ომის ვეტერანების დახმარება - 5.3 ათასი ლარით.

დაწგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია - 406,9 ათასი ლარით, ბინის ქირის საკომპენსაციო თანხებით დახმარება გაეწია 165 ოჯახს. მათ შორის, 2015 წლის 13-14 ივნისს ძლიერი წვიმის შედეგად დაზარალებულ 60 ოჯახისათვის ბინის ქირით უზრუნველყოფის ხარჯებმა შეადგინა 219.8 ათასი ლარი, მერიის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილია და გადარიცხულია 13-14 ივნისის სტიქიით დაზარალებული მოქალაქეებისთვის ბინის ქირის ასანაზღაურებლად - 79.8 ათასი ლარი.

უფასო სასადილოებით მომსახურება დაფინანსდა - 297.4 ათასი ლარით, რაიონში ფუნქციონირებს სამი უფასო სასადილო, რომელიც ემსახურება სოციალურად დაუცველ 1400 ბენეფიციარს.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო - ისრაელის ბიზნეს პალატის ორგანიზებითა და ისრაელში საქართველოს საელჩოსა და ქნესეთის მხარდაჭერით სამუშაო ვიზიტით ვიმყოფებოდი ისრაელში, მერიის დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად.

ვიზიტი ისრაელში იყო ძალიან ნაყოფიერი და ვიმედოვნებ, რომ შედეგის მომცემი იქნება დედაქალაქისათვის, როგორც ინვესტიციების მოზიდვის, ისე კონკრეტული პროექტების განხორციელების საქმეში.

ვაკის რაიონის წარმომადგენლებთან ერთად სამუშაო ვიზიტით ვიმყოფებოდი ჩეხეთის რესპუბლიკაში. ვიზიტის ფარგლებში, საქმიანი შეხვედრები შედგა პრაღა 6-ის მერსა და ადგილობრივ საკრებულოს წევრებს შორის. დელეგაციის წევრებმა და მასპინძლებმა ვაკის გამგეობასა და პრაღა-6 შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი. შევთანხმდით საჯარო მოხელეებისა და სტუდენტების გაცვლითი პროგრამების განხორციელების, ასევე მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტებზე კონსულტაციების გაწევის თაობაზე .

გოჩა ბაბუნაშვილი
20.10.2016 წელი.